ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7846131

ნომერი: AR11125651

თარიღი : 21.01.2026

გაცემის თარიღი : 17.03.2026

გაცნობის თარიღი : 17.03.2026

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, მირზა შაფის ქუჩა, N 12; ქალაქი თბილისი, გერცელ ბააზოვის ქუჩა, N 9ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ჟუჟუნაშვილი პ/ნ 01030002628
- თბილისი დ.აღმაშენებლის გამზ. N 88

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 05 დეკემბრის №1016387 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 05 დეკემბრის №1016387 გადაწყვეტილებით სასტუმრო აპარტამენტების აშენების მიზნით დამტკიცებული იქნა სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები.

2015 წლის 09 თებერვლის № 1722678 ბრძანებით შევიდა ცვლილება 2013 წლის 05 დეკემბრის №1016387 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: მიწის ნაკვეთის ფართობი მიეთითა - 1628 მ2, საკადასტრო კოდი დაფიქსირდა- #01.18.04.018.066;

2023 წლის 29 დეკემბრის № 6826965 ბრძანებით შევიდა ცვლილება 2013 წლის 05 დეკემბრის №1016387 გადაწყვეტილებით დამკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, მიწის ნაკვეთის ნამატი

ფართის პოტენციალის გამოყენების გარეშე. კერძოდ: დაფიქსირდა ახალი საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი 01.18.04.018.094; ფართობი 3157 კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი №892023191384; რეგისტრაციის თარიღი: 01/11/2023წ.) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის ნომერი N892023191384; რეგისტრაციის თარიღი 03/11/2023წ.);

2024 წლის 22 ნოემბრის № 7297165 ბრძანებით შევიდა ცვლილება 2013 წლის 05 დეკემბრის №1016387 გადაწყვეტილებით დამკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 29 დეკემბრის №6826965 ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:
„1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 05 დეკემბრის №1016387 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ: დაფიქსირდეს ახალი საკადასტრო კოდი 01.18.04.018.094; ფართობი 3157 კვ.მ, საკადასტრო გეგმა (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი №892023191384; მომზადების თარიღი 01/11/2023წ) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის ნომერი N892023191384; მომზადების თარიღი 03/11/2023წ.), ნამატი მიწის ნაკვეთის სამშენებლო პოტენციალის ნაწილობრივ გამოყენების, კერძოდ: წინამდებარე მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების ფარგლებში სამშენებლოდ განვითარებისთვის მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტის (კ-1) ასათვისებელი ფართის არაუმეტეს 1165.00 კვ.მ.-ის, ხოლო განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ასათვისებელი ფართის არაუმეტეს 3470.00 კვ.მ.-ის გამოყენების პირობით“;

2025 წლის 26 აგვისტოს № 7604774 ბრძანებით შევიდა ცვლილება 2013 წლის 05 დეკემბრის №1016387 გადაწყვეტილებით დამკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, მიწის ნაკვეთის კერძოდ: დაემატა ახალი საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი№ 01.18.04.018.008; ფართობი 123.00 კვ.მ, და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის ნომერი №882025957347; მომზადების თარიღი 19/08/2025წ.)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2026 წლის 21 იანვრის №AR11125651 განცხადებით მომართა მოქ. გიორგი ჟუჟუნაშვილმა და მიწის ნაკვეთის საზღვრებისა და ფართობის ცვლილების გამო მოითხოვა სამსახურის 2013 წლის 05 დეკემბრის №1016387 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა, კერძოდ განახლებული საკადასტრო მონაცემების საკ. კოდი N01.81.02.181.071 (რეგისტრაციის ნომერი №882026212316; მომზადების თარიღი 13/03/2026 წ.) დაფიქსირება.
"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.
სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია 2013 წლის 05 დეკემბრის №1016387 დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 05 დეკემბრის №1016387 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში კერძოდ: დაფიქსირდეს ახალი საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი N01.81.02.181.071; ფართობი 3280 კვ.მ, და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის ნომერი №882026212316; მომზადების თარიღი 13/03/2026წ.)
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის სამსახურის 2013 წლის 05 დეკემბრის №1016387 ბრძანებით დამკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან, 2024 წლის 22 ნოემბრის № 7297165 და 2025 წლის 25 აგვისოს № 7604774 ბრძანებასთან ერთად;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ.თბილისი, ჟ.შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

•

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.